ვებ-გვერდზე www.rebank.ge განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე - www.rebank.ge - განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ, ხელშეკრულებას დაემატოს **4.3** პუნქტი, ასევე, შეიცვალოს ხელშეკრულების **5.6.6** პუნქტი და მათი შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4.3. **სახელფასო პროექტი/პროგრამა**

4.3.1. სახელფასო პროექტით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად კლიენტი ბანკს მიმართავს განაცხადით წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.

4.3.2. სახელფასო პროექტის ფარგლებში გასაწევი მომსახურების ტარიფები ან/და პირობები განისაზღვრება შესაბამისი დანართის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3.3. კლიენტი ვალდებულია, ყოველთვიური საშუალო შემოსავლის სახით, სახელფასო ანგარიშზე უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა არანაკლებ 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს, გამოიყენოს 4.3.10 და 4.3.11 პუნქტებით განსაზღვრული უფლებამოსილება.

4.3.4. კლიენტი აცნობიერებს, რომ სახელფასო ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვება მოხდება ბანკისათვის კლიენტის მიერ განაცხადის წარდგენის, ბანკის მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღების და ბანკსა და კლიენტს შორის შესაბამისი ოვერდრაფტის ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

4.3.5. კლიენტი ვალდებულია, ხელფასის (ასევე პრემიის, სამივლინებო თანხის და მასზე გასაცემი სხვა ნებისმიერი დანიშნულების თანხის) ჩარიცხვა მუდმივად აწარმოოს წინამდებარე სახელფასო ანგარიშზე.

4.3.6. კლიენტი ვალდებულია, მინიმუმ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობს ბანკს სახელფასო პროექტით მომსახურების სარგებლობის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტასთან/სხვა საბანკო დაწესებულებაში გადატანასთან დაკავშირებით. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი სახელფასო პროექტით მომსახურებას შეწყვეტს მომსახურების დაწყებიდან 6 თვის ვადაში, კლიენტი ვალდებულია, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, სრულად აუნაზღაუროს სახელფასო ბარათ(ებ)ის ღირებულება სტანდარტული ტარიფის შესაბამისად და ბანკი უფლებამოსილია, ამ მიზნით უაქცეპტო წესით ჩამოჭრას შესაბამისი თანხა კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან.

4.3.7. წინამდებარე ხელშეკრულების 4.3.5, 4.3.6, და 4.3.10 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის და გარემოებების დადგომის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს წარმოქმნილი დავალიანება (მათ შორის, ოვერდრაფტი და მასზე დარიცხული პროცენტი) ან/და აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო მიყენებული ზიანი/ზარალი ან/და სახელფასო ბარათის ღირებულება სტანდარტული ტარიფის შესაბამისად და ბანკი უფლებამოსილია, ამ მიზნით უაქცეპტო წესით ჩამოჭრას შესაბამისი თანხა კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან.

4.3.8. სახელფასო ბარათის მეშვეობით კლიენტის მიერ გადახდილი თანხიდან ბანკი კლიენტს დაუბრუნებს დახარჯული თანხის ნაწილს (ქეშ-ბექს), რის შესახებაც კლიენტის ინფორმირება მოხდება მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით. აღნიშნული თანხის აკუმულირება მოხდება ერთი თვის განმავლობაში და ერთიანად ჩაირიცხება კლიენტის სახელფასო ანგარიშზე თვის ბოლო საბანკო დღეს. თუ თვის ბოლო რიცხვი ემთხვევა არასაბანკო დღეს თანხის ჩარიცხვა მოხდება მომდევნო საბანკო დღეს. ანგარიშის დახურვის შემთხვევაში, კლიენტს არ ჩაერიცხება შესაბამის თვეში დაგროვილი ქეშ-ბექი.

4.3.9. ბანკი უფლებამოსილია, სახელფასო პროექტის ფარგლებში განსაზღვრული პირობები ცალმხრივად შეცვალოს, რის შესახებაც კლიენტის ინფორმირება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

4.3.10. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის წინასწარი შეტყობინების გარეშე შეწყვიტოს სახელფასო პროექტით მომსახურება, თუ კლიენტის სახელფასო პროგრამაში ჩართვიდან ზედიზედ 60 (სამოცი)

კალენდარული დღის განმავლობაში არ განახორციელდება თანხის ჩარიცხვა ან ჩაირიცხება 4.3.3. პუნქტით გათვალისწინებულ თანხაზე ნაკლები.
4.3.11. სახელფასო პროექტის პირობების დარღვევის/გაუქმების/შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, გააუქმოს შეღავათიანი ტარიფები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კლიენტს მოემსახუროს ბანკში არსებული სტანდარტული ტარიფებით.“

„5.6.6 ტოპ|ქარდის მეშვეობით კლიენტის მიერ გადახდილი თანხიდან ბანკი კლიენტს დაუბრუნებს დახარჯული თანხის ნაწილს (ქეშ-ბექს), რის შესახებაც კლიენტის ინფორმირება მოხდება მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით. აღნიშნული თანხის აკუმულირება მოხდება ერთი თვის განმავლობაში და ერთიანად ჩაირიცხება კლიენტის მულტისავალუტო ანგარიშზე თვის ბოლო საბანკო დღეს. თუ თვის ბოლო რიცხვი ემთხვევა არასაბანკო დღეს თანხის ჩარიცხვა მოხდება მომდევნო საბანკო დღეს. ანგარიშის დახურვის შემთხვევაში, კლიენტს არ ჩაერიცხება შესაბამის თვეში დაგროვილი ქეშ-ბექი.“

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაშია 2020 წლის 28 იანვრიდან.